PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,დეკორატიული მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

ნია გუგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. გუგუნავა

PDF Eraser Free

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

მონიტორინგის სახე:

- [ ] გეგმიური
- [ ] არაგეგმიური

საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 3 ივნისის № 427225 ოქმი), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 8 ოქტომბრის № 966160 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "დეკორატიული მებაღეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (განხორციელების ადგილი: ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192), ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დისტანციური მონიტორინგის განრიგი. ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს და განიხილეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით, დათვალიერდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი. ექსპერტები გაესაუბრნენ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების წარმომადგენელის დახმარებით, დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს.
გადამოწმდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციები რომლითაც არ შეიქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (,,დეკორატიული მებაღეობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება) მომზადებული დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც ,,მეტწილ შესაბამისობაში“, რადგანაც 2.2 და 2.4 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვისა და დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 და 2.4 კომპონენტები ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა შეფასდა როგორც ,,სრული შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
დეკორატიული მებაღეობა	30 (მათ შორის 15 ინტეგრირებული)	0	0

შენიშვნა: *ზემოაღნიშნულ ცხრილში ასახული ინფორმაცია დისტანციური ჩართვის დროს მიაწოდა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაცია: პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსების ნაწილში გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ზოგადი ჩანაწერის ნაცვლად კონკრეტული ავტორები და სახელწოდებები მიეთითოს, ისე როგორც მოდულის ეს სხვა სახელმძღვანელოებზე აქვთ მითითებული. *რეკომენდაცია შესრულებულია.*

რეკომენდაცია: გასწორდეს მოდულში ჩანაწერი განხორციელების ადგილის შესახებ. *რეკომენდაცია შესრულებულია.*

რეკომენდაცია: სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 15 აგვისტო №51 დადგენილებით დამტკიცდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ახალი რედაქცია, რომლის მიხედვით წინაპირობის მქონე მოდულის წინსწრები მოდულის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი განმეორებითი შეფასებისთვის სარგებლობს ეტაპებს შორის არსებული შუალედით ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით, მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით. *რეკომენდაცია შესრულებულია.*

რეკომენდაცია: შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ. რექტორი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების განმეორებით შეფასებაზე დაშვების, შესაბამისი ვადებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრის თაობაზე. *რეკომენდაცია შესრულებულია.*

რეკომენდაცია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო B ტიპის გარემო განთავსდეს შენობის პირველ სართულზე. *რეკომენდაცია შესრულებულია, B ტიპის გარემო განთავსდა პირველ სართულზე.*

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	დეკორატიული მებაღეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 აპრილის №24 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	140
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	175
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს სრულად აღჭურვილი A ტიპის გარემო და მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ლაბორატორია. წინა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის დანართით განსაზღვრული ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობის აბსოლუტური უმრავლესობა, ბიოლოგიის სწავლებისთვის საჭირო დანართით განსაზღვრული აღჭურვილობის სრული ჩამონათვალი დაწესებულებას ჰქონდა შეძენილი, ხოლო ქიმიის ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარი (თერმომეტრი, აბაზანა, დამცავი სათვალე) და ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო ინვენტარი იყო შესყიდვის პროცესში. 2020 წლის 10 მარტს გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე 2020 წლის 1 ივლისს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა ინვენტარის დაწესებულებაში არსებობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად საჭირო რესურსი გათვლილია 30 სტუდენტზე (15 ინტეგრირებული)სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.1.2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად კონკურსის წესით ჰყავს შერჩეული განმახორციელებელი პერსონალი. მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული იყო წინასწარი ხელშეკრულებები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

2.2.1.3

პროფესიულ მასწავლებელთა ნაწილს, წინა ვიზიტის ფარგლებში ინტეგრირებული მოდულების სწავლებასთან დაკავშირებით არ ჰქონდა გავლილი ტრენინგები, დაწესებულებამ მონიტორინგის ფარგლებში გამოაგზავნა მასწავლებელთა პირადი საქმეები ასევე ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მასწავლებელთა შეფასების საბოლოო შედეგების შესახებ, რომლითაც დასტურდება პედაგოგების გადამზადება. ამასთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დოკუმენტაცია რომლითაც მოხდა დამატებითი პერსონალის შერჩევაც.პირადი საქმეების შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგადმ დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს სწავლის შედეგების გამომუშავების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4.

პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის ხელმძღვანელი. რომელიც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.

2.2.1.5

პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსები ბეჭდური ან ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო რესურსები გამოიყენებული იქნებაა პროფესიული მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების მიერ.

2.2.1.6

ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს ლიფტი, სასწავლო აუდიტორია და ქიმიის ლაბორატორია განთავსებულია პირველ სართულზე, ხოლო საბიბლიოთეკო რესურსების სსს მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად A ტიპის გარემოში განთავსებულია ბეჭდური ლიტერატურის თითო ეგზემპლარი და 3 ლეპტოპი ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობისთვის. დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სსსმ/შშმ) პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის წესი. დაწესებულებას ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ასისტენტი. აღნიშნულ პროგრამაზე, ამ ეტაპზე სსს მქონე პროფესიული სტუდენტი არ ერიცხებათ. დაწესებულებას აქვს მექანიზმები რომელიც უზრუნვეყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და ადაპტირებას.

2.2.1.7

პროფესიული პროგრამისთვის შედგენილია ბიუჯეტი და განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 5 სტუდენტით. შესაბამისად ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დისტანციური ინტერვიუ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან;
- მატერიალური რესურსის დისტანციური დათვალიერებით;
- პერსონალი პირადი საქმეებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ფოტოსურათებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1

სასწავლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 85 კრედიტს და მოიცავს: ზოგად მოდულებს - 12 კრედიტი; საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 23 კრედიტი; სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 50 კრედიტი; საბაზო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ითვალისწინებს 140 კრედიტს და მოიცავს:ზოგად მოდულებს - 7 კრედიტი, ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 60 კრედიტი, საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 23 კრედიტი, სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 50 კრედიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

2.4.1.2

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ამჟამად დაწესებულებას ამ პროგრამაზე სტუდენტი არ ჰყავს.

2.4.1.3

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება: გონებრივი იერიში, დისკუსია, როლური თამაში, სოკრატეს მეთოდი, ინსცენირება, ტექსტის, ან ვიზუალური მასალის ანალიზი და ინფორმაციის იდენტიფიცირება- სისტემატიზაცია და სხვა. გათვალისწინებული დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

2.4.1.4

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება ამ დრომდე არ ჰქონიათ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით თუკი კი მობილობა განხორციელდა ისეთ პერიოდში როცა პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სწავლება ცალკეულ სასწავლო კურსებზე/მოდულებზე, ხოლო მობილობის მსურველ პირს აღნიშნული სასწავლო კურსი/მოდული მისი დაწესებულების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ აქვს ბოლომდე შესწავლილი, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება როცა პროფესიულ სტუდენტს:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.

ბ) არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო(მობილობით გადმოსული, სტატუს აღდგენილი, სხვა ობიექტური გარემოება), გარკვეული დროით საჭიროებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმიდან გადახვევას/სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

2.4.1.5

პროფესიული პროგრამისთვის „დეკორატიული მებაღეობა“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრსა“ და ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრთან“ (დუალური მიდგომით განსახორციელებლად).ჯამში 30 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

2.4.1.6

სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვის მიზნით ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა.
ლაბორატორიას აქვს სველი წერტილი და პრეპარატების შესანახად განთავსებულია სპეციალური კარადა. ამასთან დაწესებულებაში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, მათ შორის დეკორატიული მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით;
- დისტანციური ინტერვიუთი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

2.4.2.1
დაწესებულებაში შემუშავებულია შეფასების სისტემა რომელიც ექსპერტთა მოსაზრებით არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; აღსანიშნავია რომ პროგრამაზე დაწესებულებას სტუდენტი არ ჰყავს,

2.4.2.2
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვერიფიკაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელებს და მოდულის/მოდულების განმახორციელებელ პირებს. რეგულაციის თანახმად მტკიცებულებების შემოწმება განხორციელდება წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ.

2.4.2.3
მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა.

2.4.2.4
პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული განცხადების ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით ან/და სხვა ალტერნატიული წყაროთი. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებით და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2020 წლის 15 აგვისტო №51 დადგენილებით დამტკიცდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ახალი რედაქცია, რომლის მიხედვით წინაპირობის მქონე მოდულის წინსწრები მოდულის ვერდადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი განმეორებითი შეფასებისთვის სარგებლობს ეტაპებს შორის არსებული შუალედით ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით, მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით.

წინაპირობის არმქონე მოდულების განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგების მიღწევა (განმეორებითი შეფასება) დაადასტუროს განმეორებითი შეფასების კვირაში (ეტაპებს შორის არსებული 1 კვირიანი შუალედი) მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ან პროგრამის დასრულებამდე 1-ჯერ.

თუ პროფესიული სტუდენტი არ ისარგებლებს ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით მაშინ ის პროგრამის დასრულებამდე მოდულის განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების მოთხოვნით განცხადებით მიმართავს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს;

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოამზადებს წინადადებას განმეორებითი შეფასების ვადების, შეფასებისთვის მატერიალური და ადამიანური რესურსის საჭიროების თაობაზე და სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს.

რექტორი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების განმეორებით შეფასებაზე დაშვების, შესაბამისი ვადებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრის თაობაზე.

მტკიცებულების სახით წარმოდგენილია პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი, სტუდენტის განცხადება და რექტორის ბრძანება სტუდენტის განმეორებით შეფასებაზე დაშვების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- დისტანციური ინტერვიუთი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი

თბილისი 01.12.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
ნ. ბუბუნაია